ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 2 ოქტომბერი, 2019 წელი

დრო: 13:00 -14:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია თბილისი - ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - ქალი და ბიზნესი
5. ეკა გეგეშიძე - ჟუნიორ ეჩივმენტი საქართველო
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

- საერთო კრების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები
- წესდებისა და ეთიკის კოდექსის ცვლილებების პროექტები
- სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნათია კუპრაშვილმა.

პირველ საკითხად, სწორედ ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, რომელიც ამჟამად ასევე წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ კოორდინატორს, ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი საქმიანობისა და სამამომავლო გეგმების შესახებ.

საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა საერთო კრების ჩატარების დაკავშირებულ საკითხებზე, რიგით მეათე ყოველწლიურ საერთო კრებაზე უნდა მოხდეს ახალი თავმჯდომარის არჩევა და ასევე უნდა აირჩეს საკოორდინაციო საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

ასევე აღნიშნული კრების ფარგლებში უნდა აირჩეს დავების განმხილველი ორგანოს 5 წარმომადგენელი. და ასევე მოხდება საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრების არჩევა. აღნიშნული პლატფორმის არჩევნები ტარდება 2 წელიწადში ერთხელ და მისი წევრების არჩევის წესი განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდებით.

საკოორდინაციო საბჭომ კიდევ ერთხელ განიხილა საკოორდინაციო საბჭოს წევრი ორგანიზაციის მიერ მომზადებული და მმართველი კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესდებისა და ეთიკის ცვლილებების პროექტებზე. მათ დეტალურად გადახედეს აღნიშნულ დოკუმენტებს, რათა მოხდეს საერთო კრებაზე მათი გამოტანა, განხილვა და კენჭისყრა.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე განიხილეს საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ რიგით მეათე საერთო კრებაზე უნდა ჩატარდეს ოთხი არჩევნები, მნიშვნელოვანია რომ დრო გადანაწილდეს ეფექტურად. ამიტომ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, პლატფორმის 2018 წლის საქმიანობების შესახებ საერთო ანგარიშს გააკეთებს პლატფორმის თავმჯდომარე, ხოლო ჯგუფის კოორდინატორები მას მიაწოდებენ შესაბამის ინფორმაციებს, ჯგუფებში განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე დღის წესრიგში გათვალისწინებულ დისკუსიების ნაწილში მოხდება კოორდინატორების ჩართვა.

შეხვედრის დასასრულს, მოქმედმა თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს მოქმედ შემადგენლობას აქტიური თანამშრომლობისთვის და პლატფორმის საქმიანობაში საკუთარი წვლილის შეტანისთვის.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე